

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„ეროვნული საარქივო ფონდისა და**  
**ეროვნული არქივის შესახებ“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე**

**ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი**

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ 1995 წელს მიღებულ საქართველოს კანონში არსებითი დამატებებისა და ცვლილებების შეტანის აუცილებლობით, რაც დაკავშირებულია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 2004 წლის 11 თებერვლის საქართველოს კანონის შესაბამისად ყოფილი სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის (ამჟამად: სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი) იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში გადაცემასთან, აღნიშნული დეპარტამენტის ეროვნულ არქივად გარდაქმნასა და საარქივო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების ეკონომიკური საფუძვლების მოუწესრიგებლობასთან.

**ა.ბ. კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიზანია ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, მოვლა-პატრონობის, ცენტრალიზებული აღრიცხვისა და გამოყენების სრულყოფა ქვეყნის საარქივო სამსახურის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და მოქმედების წესის დადგენის გზით, საარქივო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების ეკონომიკური საფუძვლების მოწესრიგება და მათი მუშაობის პრინციპების ჰარმონიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან.

**ა.გ. კანონპროექტის არსი**

კანონპროექტი ადგენს საარქივო საქმის მართვის წესს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის ბაზაზე იქმნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული არქივი.

კანონპროექტი:

- განსაზღვრავს ეროვნული საარქივო ფონდის ცნებას, შექმნის მიზანს, დოკუმენტებზე საკუთრების ფლობის ფორმას;
- არეგულირებს ეროვნული საარქივო ფონდის დაკომპლექტებას, განსაზღვრავს ეროვნული საარქივო ფონდის შევსების წყაროებს;
- ითვალისწინებს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის პირობებს და განსაზღვრავს მათი დაფინანსების წყაროებს;
- ამტკიცებს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესს;
- ადგენს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე დაწესებულებების ნუსხას, განსაზღვრავს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის მფლობელის უფლებებსა და მოვალეობებს, დოკუმენტების შემნახველი იურიდიული და ფიზიკური პირის ვალდებულებებს და მოსარგებლის პასუხისმგებლობას ამ სფეროში;

- ადგენს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობის უფლებას, ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობას, საფასურის გადახდის წესსა და პირობებს.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში აუცილებელი ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროდ რჩება სახელმწიფო ბიუჯეტი, დამატებით წყაროდ კი – ეკონომიკური საქმიანობიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები.

### **ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უმნიშვნელო გაზრდას (საშემოსავლო გადასახადი, სოციალური გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი).

### **ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღების შემდეგ ბიუჯეტიდან კვლავ გასაწევი იქნება ის ხარჯები, რომლებიც კანონპროექტის მიღების გარეშე აუცილებლად მოითხოვება მიმდინარე ეტაპზე ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის კაპიტალური ხარჯები (500 ათასი ლარი) და ეროვნული საარქივო ფონდის ცენტრალიზებული აღრიცხვის ხარჯები. აღნიშნული ხარჯები ასახულია 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით გასაწევი იქნება:

- ეროვნული საარქივო ფონდის სადაზღვევო ფონდის შექმნის ხარჯები.

ეროვნული არქივის ტერიტორიული სამსახურების – ადგილობრივი არქივების დაფინანსების არსებული წესი (დღემდე ფაქტობრივად არსებული ორმაგი დაქვემდებარების გამო, ისინი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსდებოდა) შენარჩუნებული იქნება 2010 წლის 1 იანვრამდე.

### **ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღების შედეგად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ წარმოიშვება.

### **ბ.ე. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს მნიშვნელოვან ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

### **ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება ფიქსირებული გადასახადის დადგენა ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურების სირთულის მიხედვით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება არქივების საერთაშორისო საბჭოს (ICA) სტანდარტებსა და რეკომენდაციებს.

**გ.ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება „არქივებთან დაშვების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის მიერ 2000 წლის 13 ივლისს მიღებულ NR (2000) 13 რეკომენდაციას.

**გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**  
კანონპროექტი არ არის შეუსაბამობაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

**გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**  
კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები მიღებული არ ყოფილა.

**დ.ა. სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია-დაწესებულებები, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**  
კანონპროექტის შემუშავებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**  
კანონპროექტის შემუშავებაში სხვა ორგანიზაციებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.გ. კანონპროექტის ავტორი**  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**დ.დ. კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.